სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის № 296/01-01, 26.11.2025 ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის და 2026 წლის 22 იანვრის თსუ-ის აკადემიური საბჭოს № 1/2026 დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო კომისიის სხდომის შემაჯამებელი ოქმი

ოქმი №6

ქ. თბილისი

10 თებერვალი, 2026 წელი

**სხდომას ესწრებოდნენ:** პროფესორი გ.ღაღანიძე (კომისიის თავმჯდომარე), ასოცირებული პროფესორი მ.ხუსკივაძე (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე), ასოცირებული პროფესორი ნ.კაკაშვილი (მდივანი), პროფესორი ნ.გოგოლაური (კომისიის წევრი), ასოცირებული პროფესორი ხ.ბერიშვილი (კომისიის წევრი), ასოცირებული პროფესორი ზ. მღებრიშვილი (კომისიის წევრი), ასოცირებული პროფესორი გ.ქეშელაშვილი (კომისიის წევრი).

დ ღ ი ს  წ ე ს რ ი გ ი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის № 296/01-01, 26.11.2025 ბრძანებით ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის (**მარკეტინგის** კათედრა ასოცირებული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული -კატეგორია „ბ“, **მენეჯმენტისა და ადმინისტრირების** კათედრა ასოცირებული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული - კატეგორია „ა“, **საერთაშორისო ბიზნესის** კათედრა ასოცირებული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული - კატეგორია „ა“, **ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის** კათედრა ასოცირებული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული -კატეგორია „ა“) კონკურსის შედეგების შეჯამება.

კომისიის თავმჯდომარე, პროფესორი გ.ღაღანიძე

მოისმინეს: 1.1 საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის, **პროფესორ გიორგი ღაღანიძის** ინფორმაცია, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის № 296/01-01, 26.11.2025 ბრძანებით გამოცხადებული ასოცირებული პროფესორების აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის (**მარკეტინგის** კათედრა ასოცირებული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული -კატეგორია „ბ“, **მენეჯმენტისა და ადმინისტრირების** კათედრა ასოცირებული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული -კატეგორია „ა“, **საერთაშორისო ბიზნესის** კათედრა ასოცირებული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული - კატეგორია „ა“, **ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის** კათედრა ასოცირებული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული -კატეგორია „ა“) შედეგების შეჯამების შესახებ. **მარკეტინგის** კათედრა - ასოცირებული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული - კატეგორია „ბ“, ერთ ვაკანსიაზე განცხადება წარმოდგენილი ჰქონდა ერთ კანდიდატს, **მარინე კობალავას;** **მენეჯმენტისა და ადმინისტრირების** კათედრა- ასოცირებული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული -კატეგორია „ა“, ერთ ვაკანსიაზე განცხადება წარმოდგენილი ჰქონდა ერთ კანდიდატს, **ეკა ჩოხელს; საერთაშორისო ბიზნესის** კათედრა - ასოცირებული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული - კატეგორია „ა“, ერთ ვაკანსიაზე განცხადება წარმოდგენილი ჰქონდა ერთ კანდიდატს,**ლალი ხიხაძეს, ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის** კათედრა -ასოცირებული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული -კატეგორია „ა“, ერთ ვაკანსიაზე განცხადება წარმოდგენილი ჰქონდა ოთხ კანდიდატს, **ნანა კაციტაძეს,მანანა ვასაძეს, ეკა დევიძეს, ლალი ოქროშიძეს.** კონკურსანტ **ლალი ოქროშიძეს** არ მიენიჭა პრეტენდენტის სტატუსი **(საერთო შეფასება I კატეგორიის** მიხედვით: **კვალიფიკაცია ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს** (სსიპ-ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ რექტორის № 296/01-01, 26.11.2025 ბრძანების მეორე პუნქტის შესაბამისად, უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორად 7 (შვიდი) წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს არანაკლებ 3 (სამი) წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება. პრეტენდენტი **ლალი ოქროშიძე** 20.02.2023 - დღემდე მოწვეული ლექტორის პოზიციაზე მუშაობს კავკასიის უნივერსიტეტში, დანართი №4).

აზრი გამოთქვეს: პროფესორი გ.ღაღანიძე (კომისიის თავმჯდომარე), ასოცირებული პროფესორი მ.ხუსკივაძე (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე), ასოცირებული პროფესორი ნ.კაკაშვილი (მდივანი), პროფესორი ნ.გოგოლაური (კომისიის წევრი), ასოცირებული პროფესორი ხ.ბერიშვილი (კომისიის წევრი), ასოცირებული

პროფესორი ზ. მღებრიშვილი (კომისიის წევრი), ასოცირებული პროფესორი გ.ქეშელაშვილი (კომისიის წევრი).

კომისიამ იმსჯელა და შეაჯამა კონკურსანტების შეფასებები:

1.კომისიამ განიხილა **მარკეტინგის** კათედრაზე ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კონკურსანტ **მარინე კობალავას** მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და შეაჯამა კონკურსანტის შეფასებები. კომისიის წევრებმა შეაფასეს და ერთიანი განხილვის საფუძველზე შეავსეს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესით (დადგენილება №118/2014; 22 დეკემბერი, 2014) განსაზღვრული კონკურსანტის შეფასების ფორმა. კონკურსანტ **მარინე კობალავას** მიენიჭა ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის ***სამეცნიერო ხარისხი,*** დისერტაციის თემა - **„მომსახურების ბაზრის წარმოშობა და განვითარება საქართველოში“** (კონკურსანტის ანკეტა-დანართი 3), შეესაბამება ვაკანსიის პროფილს. კონკურსანტ მარინე კობალავას საერთო შეფასება I კატეგორიის მიხედვით: **კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს.**

II **კატეგორიის** მიხედვით, კონკურსანტ **მარინე კობალავას** პედაგოგიური გამოცდილება შეესაბამება ვაკანსიის პროფილს. სასწავლო-მეთოდური საქმიანობა, ასევე შესაბამისობაშია ვაკანსიის პროფილთან. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი სილაბუსები შეესაბამება 2019 წლის 22 ივლისის აკადემიური საბჭოს №100/2019 დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებს ("სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურის დამტკიცების შესახებ", დადგენილება N: 16/2020; 24/02/2020).

**საერთო შეფასება II კატეგორიის** მიხედვით მიიღო -„მაღალი“.

კონკურსანტ **მარინე კობალავას** მიერ საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი საკონფერენციო ნაშრომი: Benchmarking to Improve the Characteristics of the Higher Educational Process (on the examples of Georgia) Proceeding of The IRES International Conference, Page 6-10, Rome, Italy https://www.researchgate.net/publication/393937557_BENCHMARKING_TO_IMPROVE_THE_CHARACTERISTICS_OF_THE_HIGHER_EDUCATIONAL_PROCESS_ON_THE_EXAMPLE_OF_GEORGIA. ბენჩმარკინგი (Benchmarking) უმაღლესი საგანმანათლებლო პროცესის მახასიათებლების გასაუმჯობესებლად (საქართველოს მაგალითზე), გვ. 6-10, რომი, იტალია, ავტორის დამოუკიდებელი კვლევის შედეგია. ნაშრომში ნათლადაა ჩამოყალიბებული საკვლევი საკითხის კონცეპტუალური ჩარჩო და კვლევის დიზაინი, კვლევის მეთოდიკა.

კონკურსანტ **მაკა კობალავას** მიერ წარმოდგენილი სამეცნიერო კვლევის კონცეფციაში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული საკვლევი პრობლემის აქტუალობა, კვლევის მეთოდოლოგია, სამეცნიერო კვლევის მიზანი და სამეცნიერო კვლევის მოსალოდნელი

შედეგები. III კატეგორიის მიხედვით კონკურსანტის ანკეტის (დანართი №3) მიხედვით, რაც ითვალისწინებს სხვა მნიშვნელოვან პუბლიკაციებს კონკურსანტის შეხედულებისამებრ, კონკურსანტმა მარინე კობალავამ წარმოადგინა 9 სამეცნიერო ნაშრომი. კონკურსანტ **მარინე კობალავას ციტირების ინდექსია: 13, h ინდექსი-12**

**III კატეგორიის** მიხედვით სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა - ორივე მუხლისთვის: ხელს შეუწყობს კვლევითი პროფილის განვითარებას, საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების ინტეგრაციას, ხელს შეუწყობს თსუ–ის ეროვნულ და საერთაშორისო პოპულარობის მიხედვით, კომისიამ მიანიჭა შეფასება **„საშუალო"**.

IV კატეგორიის მიხედვით: სხვა სახის აქტივობა *(მიღწევები, გამოცდილება, დამსახურება, ჯილდო, სტიპენდია, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელობა/თანახელმძღვანელობა, სტუდენტის ხელმძღვანელობა, ახალგაზრდა თაობის დაინტერესება თსუ–ში სწავლით, კომპიუტერთან მუშაობის უნარები, ენების ცოდნა და სხვ.).* კონკურსანტის ინფორმაცია დამატებით საქმიანობასთან მიმართებაში აკმაყოფილებს კონკურსანტის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს. კომისიამ კონკურსანტს IV კატეგორიის ორივე მუხლში - ხელს შეუწყობს ფაკულტეტის კვლევითი და სასწავლო პოტენციალის გაძლიერებას და თსუ–ის შემდგომ წინსვლას და განვითარებას მიანიჭა შეფასება **„მაღალი"**.

1.2. კომისიამ განიხილა მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრაზე ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კონკურსანტ **ეკა ჩოხელის** მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და შეაჯამა კონკურსანტის შეფასებები.

კომისიის წევრებმა შეაფასეს და ერთიანი განხილვის საფუძველზე შეავსეს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესით (დადგენილება №118/2014; 22 დეკემბერი, 2014) განსაზღვრული კონკურსანტის შეფასების ფორმა.

კონკურსანტ **ეკა ჩოხელის** საერთო შეფასება I კატეგორიის მიხედვით: **კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს.**

**საერთო შეფასება II კატეგორიის** მიხედვით მიიღო -**„მაღალი"**. კონკურსანტ **ეკა ჩოხელს** მიენიჭა ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი ***სამეცნიერო ხარისხი,*** დისერტაციის თემა - **„დარგობრივი მართვის რეორგანიზაცია და ახალი საბაზრო სტრუქტურების ფორმირების კანონზომიერებანი ღვინის მრეწველობაში"** (კონკურსანტის ანკეტა-დანართი 3), შეესაბამება ვაკანსიის პროფილს.

**II კატეგორიის** მიხედვით, კონკურსანტ **ეკა ჩოხელის** პედაგოგიური გამოცდილება შეესაბამება ვაკანსიის პროფილს. სასწავლო-მეთოდური საქმიანობა, ასევე შესაბამისობაშია ვაკანსიის პროფილთან. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი სილაბუსები შეესაბამება 2019 წლის 22 ივლისის აკადემიური საბჭოს №100/2019 დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებს ("სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურის დამტკიცების შესახებ", დადგენილება N: 16/2020; 24/02/2020).
**კონკურსანტ** ეკა ჩოხელის **მიერ** **საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი საკონფერენციო ნაშრომი** "მენეჯმენტის გავლენა სტარტაპების ეფექტურობასა და წარმატებაზე: საქართველოს მაგალითი." გვ. 14-28. "The Impact of Management on Startup Efficiency and Success: Evidence from Georgia"., Eka Chokheli, *Proceedings of the 12th International Scientific Conference «Modern Scientific Method» (January 15-16, 2026).* Vienna, Austria, 2026. Pp.14-28. https://ojs.publisher.agency/index.php/MSM/issue/view/169/382 ნათლადაა ჩამოყალიბებული საკვლევი საკითხის კონცეპტუალური ჩარჩო და კვლევის დიზაინი, კვლევის მეთოდიკა.

კონკურსანტ **ეკა ჩოხელის** მიერ წარმოდგენილი სამეცნიერო კვლევის კონცეფციაში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული საკვლევი პრობლემის აქტუალობა, კვლევის მეთოდოლოგია, სამეცნიერო კვლევის მიზანი და სამეცნიერო კვლევის მოსალოდნელი შედეგები.

III **კატეგორიის** მიხედვით კონკურსანტის ანკეტის (დანართი 3) მიხედვით, კონკურსანტს იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალებში გამოქვეყნებული აქვს **4** სამეცნიერო ნაშრომი, ხოლო 3.2 პუნქტის მიხედვით, რაც ითვალისწინებს სხვა მნიშვნელოვან პუბლიკაციებს კონკურსანტის შეხედულებისამებრ, კონკურსანტმა **ეკა ჩოხელმა** წარმოადგინა 17 სამეცნიერო ნაშრომი. კონკურსანტ **ეკა ჩოხელის ციტირების ინდექსია:** ციტირების ინდექსი - 254 - Google Scholar; *h* - ინდექსი - 8; *g-ინდექსი-12.*

III **კატეგორიის** მიხედვით სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა - ორივე მუხლისთვის: ხელს შეუწყობს კვლევითი პროფილის განვითარებას, საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების ინტეგრაციას, ხელს შეუწყობს თსუ–ის ეროვნულ და საერთაშორისო პოპულარობის მიხედვით, კომისიამ მიანიჭა შეფასება **„მაღალი"**.

IV კატეგორიის მიხედვით: სხვა სახის აქტივობა *(მიღწევები, გამოცდილება, დამსახურება, ჯილდო, სტიპენდია, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელობა/თანახელმძღვანელობა, სტუდენტის ხელმძღვანელობა, ახალგაზრდა თაობის დაინტერესება თსუ–ში სწავლით, კომპიუტერთან მუშაობის უნარები, ენების ცოდნა და სხვ.).*

კონკურსანტის ინფორმაცია დამატებით საქმიანობასთან მიმართებაში აკმაყოფილებს კონკურსანტის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს. კომისიამ კონკურსანტს IV კატეგორიის ორივე მუხლში - ხელს შეუწყობს ფაკულტეტის კვლევითი და სასწავლო პოტენციალის გაძლიერებას და თსუ–ის შემდგომ წინსვლას და განვითარებას მიანიჭა შეფასება **„მაღალი"**.

*1.3* კომისიამ განიხილა **საერთაშორისო ბიზნესის** კათედრაზე ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კონკურსანტ **ლალი ხიხაძის** მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და შეაჯამა კონკურსანტის შეფასებები.

კომისიის წევრებმა შეაფასეს და ერთიანი განხილვის საფუძველზე შეავსეს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესით (დადგენილება №118/2014; 22 დეკემბერი, 2014) განსაზღვრული კონკურსანტის შეფასების ფორმა.

კონკურსანტ **ლალი ხიხაძის** საერთო შეფასება I კატეგორიის მიხედვით: **კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს.**

**საერთო შეფასება II კატეგორიის** მიხედვით მიიღო -„მაღალი". კონკურსანტ **ლალი ხიხაძეს** მიენიჭა ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის ***სამეცნიერო ხარისხი,*** დისერტაციის თემა - **„საქართველოს სათბობ-ენერგეტიკული საქონლის ბაზარი და მისი განვითარების პერსპექტივები"** (კონკურსანტის ანკეტა-დანართი 3), შეესაბამება ვაკანსიის პროფილს.

**II კატეგორიის** მიხედვით, კონკურსანტ **ლალი ხიხაძის** პედაგოგიური გამოცდილება შეესაბამება ვაკანსიის პროფილს. სასწავლო-მეთოდური საქმიანობა, ასევე შესაბამისობაშია ვაკანსიის პროფილთან. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი სილაბუსები შეესაბამება 2019 წლის 22 ივლისის აკადემიური საბჭოს №100/2019 დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებს ("სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურის დამტკიცების შესახებ", დადგენილება N: 16/2020; 24/02/2020). კონკურსანტ ლალი ხიხაძის მიერ საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილ საკონფერენციო ნაშრომში - Global Ecological Challenges: The Necessity and Prospect For Green Business Development in the 21st Century XXI საუკუნის გლობალური ეკოლოგიური გამოწვევები: მწვანე ბიზნესის განვითარების აუცილებლობა და პერსპექტივები. ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი" ტომი-XXVII, 2025 წლის #4 (IV კვარტალი).ISSN1987-5789. ESSN 2587-5426.DOI 10-56079. ნათლადაა ჩამოყალიბებული საკვლევი საკითხის კონცეპტუალური ჩარჩო და კვლევის დიზაინი, კვლევის მეთოდიკა.

კონკურსანტ **ლალი ხიხაძის** მიერ წარმოდგენილი სამეცნიერო კვლევის კონცეფციაში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული საკვლევი პრობლემის აქტუალობა, კვლევის მეთოდოლოგია, სამეცნიერო კვლევის მიზანი და სამეცნიერო კვლევის მოსალოდნელი შედეგები.

**III კატეგორიის** მიხედვით კონკურსანტის ანკეტის (დანართი №3), რაც ითვალისწინებს სხვა მნიშვნელოვან პუბლიკაციებს კონკურსანტის შეხედულებისამებრ, კონკურსანტმა **ლალი ხიხაძემ** წარმოადგინა 34 სამეცნიერო ნაშრომი. კონკურსანტ **ლალი ხიხაძის ციტირების ინდექსია:** ციტირების ინდექსი - 8 ; *h* - ინდექსი -1 ; *g-ინდექსი-1.*

**III კატეგორიის** მიხედვით სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა - ორივე მუხლისთვის: ხელს შეუწყობს კვლევითი პროფილის განვითარებას, საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების ინტეგრაციას, ხელს შეუწყობს თსუ–ის ეროვნულ და საერთაშორისო პოპულარობის მიხედვით, კომისიამ მიანიჭა შეფასება **„საშუალო"**.

IV კატეგორიის მიხედვით: სხვა სახის აქტივობა *(მიღწევები, გამოცდილება, დამსახურება, ჯილდო, სტიპენდია, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელობა/თანახელმძღვანელობა, სტუდენტის ხელმძღვანელობა, ახალგაზრდა თაობის დაინტერესება თსუ–ში სწავლით, კომპიუტერთან მუშაობის უნარები, ენების ცოდნა და სხვ.).*

კონკურსანტის ინფორმაცია დამატებით საქმიანობასთან მიმართებაში აკმაყოფილებს კონკურსანტის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს. კომისიამ კონკურსანტს IV კატეგორიის ორივე მუხლში - ხელს შეუწყობს ფაკულტეტის კვლევითი და სასწავლო პოტენციალის გაძლიერებას და თსუ–ის შემდგომ წინსვლას და განვითარებას მიანიჭა შეფასება „მაღალი“.

1.4.კომისიამ განიხილა **ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის** კათედრაზე ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კონკურსანტ **ნანა კაციტაძის** მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და შეაჯამა კონკურსანტის შეფასებები.

კომისიის წევრებმა შეაფასეს და ერთიანი განხილვის საფუძველზე შეავსეს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესით (დადგენილება №118/2014; 22 დეკემბერი, 2014) განსაზღვრული კონკურსანტის შეფასების ფორმა.

კონკურსანტ **ნანა კაციტაძის** საერთო შეფასება I კატეგორიის მიხედვით: **კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს.** საერთო შეფასება II კატეგორიის მიხედვით მიიღო -**„მაღალი“.**

კონკურსანტ **ნანა კაციტაძის** მიერ საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილ სამეცნიერო სტატიაში ATTRIBUTE FACTORS INFLUENCING CUSTOMER OVERALL SATISFACTION IN HOTEL SERVICES – EXAMPLE OF GEORGIA ჟურნალი „Baltic Journal of Economic Studies“ #3 CC BY 4.0 Pages 154-165 DOI: 10.30525/2256-0742/2025-11-3-154-1655 http://www.baltijapublishing.lv/index.php/issue/article/view/2952/ 2931 ნათლადაა ჩამოყალიბებული საკვლევი საკითხის კონცეპტუალური ჩარჩო და კვლევის დიზაინი, კვლევის მეთოდიკა. კონკურსანტ **ნანა კაციტაძის** მიერ წარმოდგენილი სამეცნიერო კვლევის კონცეფცია არის სათანადოდ სტრუქტურიზებული, მკაფიოდაა ჩამოყალიბებული საკვლევი პრობლემის აქტუალობა, კვლევის მეთოდოლოგია, სამეცნიერო კვლევის მიზანი და სამეცნიერო კვლევის მოსალოდნელი შედეგები.

**III კატეგორიის** კონკურსანტის ანკეტის (დანართი №3) **3.1 პუნქტის** მიხედვით, რაც ითვალისწინებს **პუბლიკაციებს იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალებში,** კონკურსანტს გამოქვეყნებული აქვს 5 სამეცნიერო ნაშრომი, ხოლო კონკურსანტის ანკეტის (დანართი №3) 3.2 პუნქტის მიხედვით, რაც ითვალისწინებს სხვა მნიშვნელოვან პუბლიკაციებს კონკურსანტის შეხედულებისამებრ, კონკურსანტმა **ნანა კაციტაძემ** წარმოადგინა 25 სამეცნიერო ნაშრომი. კონკურსანტ **ნანა კაციტაძის ციტირების ინდექსია:** Google scholar-45 ; *h* - ინდექსი - 12; **III** კატეგორიის მიხედვით სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა - ორივე მუხლისთვის: ხელს შეუწყობს კვლევითი პროფილის განვითარებას, საგანმანათლებლო და

კვლევითი პროცესების ინტეგრაციას, ხელს შეუწყობს თსუ–ის ეროვნულ და საერთაშორისო პოპულარობის მიხედვით, კომისიამ მიანიჭა შეფასება „**მაღალი**“.

**IV კატეგორიის მიხედვით** კონკურსანტის ინფორმაცია დამატებით საქმიანობასთან მიმართებაში სრულად აკმაყოფილებს კონკურსანტის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს. კომისიამ კონკურსანტს IV კატეგორიის ორივე მუხლში - ხელს შეუწყობს ფაკულტეტის კვლევითი და სასწავლო პოტენციალის გაძლიერებას და თსუ–ის შემდგომ წინსვლას და განვითარებას მიანიჭა შეფასება „ მაღალი “.

1.5 კომისიამ განიხილა **ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის** კათედრაზე ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კონკურსანტ **მანანა ვასაძის მიერ** მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და შეაჯამა კონკურსანტის შეფასებები.

კომისიის წევრებმა შეაფასეს და ერთიანი განხილვის საფუძველზე შეავსეს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესით (დადგენილება №118/2014; 22 დეკემბერი, 2014) განსაზღვრული კონკურსანტის შეფასების ფორმა.

კონკურსანტ **მანანა ვასაძის საერთო შეფასება I კატეგორიის** მიხედვით: **კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს. II კატეგორიის** მიხედვით, კონკურსანტ **მანანა ვასაძის** პედაგოგიური გამოცდილება შეესაბამება ვაკანსიის პროფილს. სასწავლო-მეთოდური საქმიანობა, ასევე შესაბამისობაშია ვაკანსიის პროფილთან. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი სილაბუსები არ შეესაბამება 2019 წლის 22 ივლისის აკადემიური საბჭოს №100/2019 დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებს („სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურის დამტკიცების შესახებ“, დადგენილება N: 16/2020; 24/02/2020). **საერთო შეფასება II კატეგორიის** მიხედვით მიიღო -„**დაბალი**“. კონკურსანტ **მანანა ვასაძის** მიერ საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი ნაშრომი: Vasadze M., Mosashvili I., Duruli Ts.

"*Hotel Guest Service Technology*".Economics World (ISSN 2328-7144, USA)., DOI:10.17265/2328-7144/2018.03.003,2018

http://www.davidpublisher.com/index.php/Home/Article/index?id=34614.html ნათლადაა ჩამოყალიბებული საკვლევი საკითხის კონცეპტუალური ჩარჩო და კვლევის დიზაინი, კვლევის მეთოდიკა. კონკურსანტ **მანანა ვასაძის** მიერ წარმოდგენილი სამეცნიერო კვლევის კონცეფციაში არ არის გამოკვეთილი საკვლევი პრობლემა, კვლევის მეთოდოლოგია, სამეცნიერო კვლევის მიზანი და სამეცნიერო კვლევის მოსალოდნელი შედეგები.

**III კატეგორიის** მიხედვით სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა - ორივე მუხლისთვის: ხელს შეუწყობს კვლევითი პროფილის განვითარებას, საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების ინტეგრაციას, ხელს შეუწყობს თსუ–ის ეროვნულ და საერთაშორისო პოპულარობის მიხედვით, კომისიამ მიანიჭა შეფასება „ **საშუალო**“.

IV კატეგორიის მიხედვით კონკურსანტის ინფორმაცია დამატებით საქმიანობასთან მიმართებაში სრულად აკმაყოფილებს კონკურსანტის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს. კომისიამ კონკურსანტს IV კატეგორიის ორივე მუხლში - ხელს შეუწყობს ფაკულტეტის კვლევითი და სასწავლო პოტენციალის გაძლიერებას და თსუ–ის შემდგომ წინსვლას და განვითარებას მიანიჭა შეფასება „ საშუალო “.

1.6. კომისიამ განიხილა **ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის** კათედრაზე ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კონკურსანტ **ეკა დევიძის** მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და შეაჯამა კონკურსანტის შეფასებები.

კომისიის წევრებმა შეაფასეს და ერთიანი განხილვის საფუძველზე შეავსეს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესით (დადგენილება №118/2014; 22 დეკემბერი, 2014) განსაზღვრული კონკურსანტის შეფასების ფორმა.

კონკურსანტ **ეკა დევიძის** საერთო შეფასება I კატეგორიის მიხედვით: **კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს.**

II **კატეგორიის** მიხედვით, კონკურსანტ **ეკა დევიძის** პედაგოგიური გამოცდილება შეესაბამება ვაკანსიის პროფილს. სასწავლო-მეთოდური საქმიანობა, ასევე შესაბამისობაშია ვაკანსიის პროფილთან. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი სილაბუსები ნაწილობრივ შეესაბამება 2019 წლის 22 ივლისის აკადემიური საბჭოს №100/2019 დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებს ("სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურის დამტკიცების შესახებ", დადგენილება N: 16/2020; 24/02/2020).

საერთო შეფასება II **კატეგორიის** მიხედვით მიიღო -„საშუალო".

კონკურსანტ **ეკა დევიძის** მიერ საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილ სამეცნიერო სტატიაში **,,ტურიზმის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების უპირატესობები და გამოწვევები საქართველოს მაგალითზე"** არ არის ჩამოყალიბებული საკვლევი საკითხის კონცეპტუალური ჩარჩო და კვლევის დიზაინი, კვლევის მეთოდიკა.

კონკურსანტ **ეკა დევიძის** მიერ წარმოდგენილი სამეცნიერო კვლევის კონცეფციაში არ არის გამოკვეთილი საკვლევი პრობლემა, კვლევის მეთოდოლოგია, სამეცნიერო კვლევის მიზანი და სამეცნიერო კვლევის მოსალოდნელი შედეგები.

III **კატეგორიის** მიხედვით სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა - ორივე მუხლისთვის: ხელს შეუწყობს კვლევითი პროფილის განვითარებას, საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების ინტეგრაციას, ხელს შეუწყობს თსუ–ის ეროვნულ და საერთაშორისო პოპულარობის მიხედვით, კომისიამ მიანიჭა შეფასება „**საშუალო**".

IV კატეგორიის მიხედვით კონკურსანტის ინფორმაცია დამატებით საქმიანობასთან მიმართებაში სრულად აკმაყოფილებს კონკურსანტის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს. კომისიამ კონკურსანტს IV კატეგორიის ორივე მუხლში - ხელს შეუწყობს ფაკულტეტის კვლევითი და სასწავლო პოტენციალის გაძლიერებას და თსუ–ის შემდგომ წინსვლას და განვითარებას მიანიჭა შეფასება „ მაღალი “.

კონკურსის მეორე ეტაპზე თითოეულ პრეტენდენტებთან ჩატარდა გასაუბრება:

1.1 გასაუბრებაზე პრეტენდენტმა **მარინე კობალავამ** სათანადო დონეზე წარმოადგინა კვლევის კონცეფცია, დაასაბუთა სამეცნიერო კვლევის პრიორიტეტები და უპასუხა დასმულ შეკითხვებს.

1.2 გასაუბრებაზე პრეტენდენტმა **ეკა ჩოხელმა** სათანადო დონეზე წარმოადგინა კვლევის კონცეფცია, დაასაბუთა სამეცნიერო კვლევის პრიორიტეტები და უპასუხა დასმულ შეკითხვებს.

1.3 გასაუბრებაზე პრეტენდენტმა **ლალი ხიხაძემ** ისაუბრა კვლევის კონცეფციაზე, შესაფასებლად წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომის შესახებ და უპასუხა დასმულ შეკითხვებს.

1.4 გასაუბრებაზე პრეტენდენტმა **ნანა კაციტაძემ** ისაუბრა კვლევის კონცეფციაზე, შესაფასებლად წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომის შესახებ და უპასუხა დასმულ შეკითხვებს.

1.5 გასაუბრებაზე პრეტენდენტმა **მანანა ვასაძემ** ზოგად ჭრილში წარმოადგინა სამეცნიერო კვლევითი კონცეფცია, ვერ დააკონკრეტა კვლევის ობიექტი, დასმულ შეკითხვებს ნაწილობრივ გასცა პასუხი.

1.6 პრეტენდენტმა **ეკა დევიძემ** სამეცნიერო კვლევითი კონცეფციაში ძირითადი ყურადღება გაამახვილა სამეცნიერო მუშაობის ორგანიზაციულ მხარეზე, ვერ დააკონკრეტა კვლევის თემა და ობიექტი. დასმულ შეკითხვებს ნაწილობრივ გასცა პასუხი.

კონკურსის მესამე ეტაპზე თითოეულმა პრეტენდენტმა (**ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის კათედრა**- ნ.კაციტაძე, მ.ვასაძე, ე.დევიძე) წაიკითხა საცდელი ლექცია:

1.პრეტენდენტმა **ნანა კაციტაძემ** საცდელ ლექციაში **„მასპინძლობის ინდუსტრია და მასზე მოქმედი ფაქტორები“** სილაბუსის შესაბამისი საკითხები თანმიმდევრულად და მწყობრი ლოგიკით წარმოადგინა, დრო რაციონალურად იყო განაწილებული, ითვალისწინებდა დარგში არსებულ ცოდნას, საილუსტრაციო და ვიზუალური მასალა კარგად იყო წარმოდგენილი.

2. პრეტენდენტ მანანა ვასაძის ლექციაში „მასპინძლობის ინდუსტრია და მასზე მოქმედი ფაქტორები“, სილაბუსის შესაბამისი საკითხები თანმიმდევრულად არ იყო წარმოდგენილი, საილუსტრაციო და ვიზუალური მასალა ნაკლებად იყო წარმოდგენილი. დასმულ შეკითხვებს არასრულყოფილად გასცა პასუხი.

3. პრეტენდენტ ეკა დევიძის ლექციაში „მასპინძლობის ინდუსტრია და მასზე მოქმედი ფაქტორები“. სალექციო თემის საკითხები წარმოდგენილი იყო სილაბუსის შესაბამისად, მასალის გადმოცემის დროს ძირითადად იყენებდა საპრეზენტაციო მასალას. დასმულ შეკითხვებს არასრულყოფილად გასცა პასუხი.

გადაწყვეტილების მიღების მიზნით კომისიამ ჩაატარა კენჭისყრის პროცედურა:
კენჭისყრის ფარულობის უზრუნველყოფის მიზნით, კომისიის მიერ დამზადდა ბიულეტენები, რომლებშიც აისახა შესაბამისი მიმართულების საკონკურსო აკადემიური პოზიციის დასაკავებლად არსებული პრეტენდენტ(ებ)ის სახელი, გვარი, საიდენტიფიკაციო მონაცემები. ბიულეტენების სისწორე დადასტურდა კომისიის ყველა წევრის ხელმოწერით. კომისიის წევრებმა თავისი არჩევანი დააფიქსირეს ბიულეტენ(ებ)ზე სასურველი კანდიდატის რიგითი ნომრის შემოხაზვით და საარჩევნო ყუთში მოთავსებით. კომისიამ უზრუნველყო ხმის ფარულად მიცემისათვის აუცილებელი პირობები. საარჩევნო ყუთი შემოწმდა კომისიის წევრების მიერ კენჭისყრის დაწყებამდე და დარწმუნდნენ, რომ ყუთი ცარიელი იყო. საარჩევნო ყუთი განთავსდა კომისიის სხდომის ოთახში თვალსაჩინო ადგილას. კენჭისყრის დაწყებამდე საარჩევნო ყუთი დაილუქა და დამოწმდა კომისიის თითოეული წევრის ხელმოწერით. კენჭისყრის დასრულების შემდგომ კომისიამ გახსნა საარჩევნო ყუთი და დათვალა თითოეული პრეტენდენტის მიერ მიღებული ხმები.

ფარული კენჭისყრის შედეგების შეჯამების საფუძველზე გამარჯვებულად გამოვლინდნენ:

- მარკეტინგის კათედრა
  ასოცირებული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული კატეგორია ,,ბ“,
  კობალავა მარინე
- მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრა
  ასოცირებული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული კატეგორია ,,ა“,
  ჩოხელი ეკა
- საერთაშორისო ბიზნესის კათედრა
  ასოცირებული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული კატეგორია ,,ა“
  ხიხაძე ლალი

- **ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის კათედრა**
  ასოცირებული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული კატეგორია ,,ა“
  **კაციტაძე ნანა**

**კონკურსის შედეგების შეჯამება:**

1. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გამართლებულია, რადგან პრეტენდენტ **მარინე კობალავას** განათლება შესაბამისობაშია გამოცხადებულ საკონკურსო პოზიციასთან, პრეტენდენტს აქვს სამეცნიერო-კვლევითი პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება. კომისია ეყრდნობა შემდეგ არგუმენტებს: პრეტენდენტ **მარინე კობალავას** სასწავლო - სამეცნიერო საქმიანობა სტუდენტებს დაეხმარება გაანალიზონ სხვადასხვა სახის ამოცანები და ქეისები მარკეტინგში. პრეტენდენტ **მარინე კობალავას** სამეცნიერო-კვლევითი და პრქტიკული საქმიანობის გამოცდილება არის მისი კონტრიბუცია თსუ სამეცნიერო რეიტინგის ამაღლებაში.

2. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გამართლებულია, რადგან პრეტენდენტ **ეკა ჩოხელის** განათლება და სამეცნიერო ხარისხი შესაბამისობაშია გამოცხადებულ საკონკურსო პოზიციასთან, პრეტენდენტს აქვს სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური მუშაობის კარგი გამოცდილება. კომისია ეყრდნობა შემდეგ არგუმენტებს: კონკურსანტის განათლება და სამეცნიერო ხარისხი, სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა სტუდენტებს მისცემს ფართო ცოდნას მენეჯმენტისა და ადმინისტრირების საკითხებში. პრეტენდენტ **ეკა ჩოხელის** პრაქტიკული გამოცდილება არის მისი კონტრიბუცია თსუ სამეცნიერო რეიტინგის ამაღლებაში.

3.კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გამართლებულია, რადგან პრეტენდენტ **ლალი ხიხაძის** განათლება და სამეცნიერო ხარისხი შესაბამისობაშია გამოცხადებულ საკონკურსო პოზიციასთან, პრეტენდენტს აქვს სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური მუშაობის კარგი გამოცდილება. კომისია ეყრდნობა შემდეგ არგუმენტებს: პრეტენდენტ **ლალი ხიხაძის** სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილება არის მისი კონტრიბუცია თსუ სამეცნიერო რეიტინგის ამაღლებაში და ხელს შეუწყობს სტუდენტთა ცოდნის გაღრმავებას საერთაშორისო ბიზნესში.

4. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გამართლებულია, რადგან პრეტენდენტ **ნანა კაციტაძის** განათლება და სამეცნიერო ხარისხი შესაბამისობაშია გამოცხადებულ საკონკურსო პოზიციასთან, პრეტენდენტს აქვს სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური მუშაობის კარგი გამოცდილება. კომისია ეყრდნობა შემდეგ არგუმენტებს: პრეტენდენტ **ნანა კაციტაძის** სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილება არის მისი კონტრიბუცია თსუ სამეცნიერო რეიტინგის ამაღლებაში და ხელს შეუწყობს სტუდენტთა ცოდნის გაღრმავებას ტურიზმსა და მასპინძლობის მენეჯმენტში.

5.კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გამართლებულია, რადგან პრეტენდენტ **მანანა ვასაძის** განათლება და სამეცნიერო ხარისხი შესაბამისობაშია გამოცხადებულ საკონკურსო პოზიციასთან, პრეტენდენტს აქვს სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური

მუშაობის გამოცდილება. კომისია ეყრდნობა შემდეგ არგუმენტებს: საცდელ ლექციაში სილაბუსის შესაბამისი საკითხები თანმიმდევრულად არ იყო წარმოდგენილი, საილუსტრაციო და ვიზუალური მასალა ნაკლებად იყო წარმოდგენილი. დასმულ შეკითხვებს არასრულყოფილად გასცა პასუხი.

6.კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გამართლებულია, რადგან პრეტენდენტ **ეკა დევიძის** განათლება და სამეცნიერო ხარისხი შესაბამისობაშია გამოცხადებულ საკონკურსო პოზიციასთან, პრეტენდენტს აქვს სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება. კომისია ეყრდნობა შემდეგ არგუმენტებს: სალექციო თემის საკითხები წარმოდგენილი იყო სილაბუსის შესაბამისად, მასალის გადმოცემის დროს ძირითადად იყენებდა საპრეზენტაციო მასალას. დასმულ შეკითხვებს არასრულყოფილად გასცა პასუხი.

**დაადგინეს:** 1.1. საკონკურსო კომისიამ იმსჯელა მის მიერ გაწეული სამუშაოს თსუ-ის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118/2014 დადგენილების („სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ") შესაბამისად და ერთხმად დაადგინა, რომ სამუშაოები განხორციელდა მოქმედი რეგულაციის შესაბამისად;

1.2. თსუ-ის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118/2014 დადგენილების („სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ") შესაბამისად (დანართი 1, მე-8 მუხლი, მე-9 პუნქტი) შემაჯამებელი ოქმი გამოქვეყნდეს თსუ-ის ვებ-გვერდზე და განთავსდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საინფორმაციო დაფაზე;

1.3. თსუ-ის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118/2014 დადგენილების („სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ") შესაბამისად (დანართი 1, მე-8 მუხლი, მე-9 პუნქტი) შემაჯამებელი ოქმის გამოქვეყნებიდან სამი სამუშაო დღის ვადაში კონკურსანტს უფლება ეძლევა გაასაჩივროს კომისიის შემაჯამებელი ოქმი საკონკურსო-სააპელაციო კომისიაში. პრეტენდენტმა საჩივარი უნდა ჩააბაროს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კანცელარიაში. მისამართი: თბილისი, 0186, უნივერსიტეტის ქუჩა #2 (თსუ მე-10 კორპუსი), ოთახი № 310.

კომისიის თავმჯდომარე /პროფესორი გ. ღაღანიძე/

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე /ასოც. პროფესორი მ.ხუსკივაძე/

კომისიის წევრები: /პროფესორი ნ. გოგოლაური/

/ასოც.პროფესორი ხ. ბერიშვილი/

/ასოც.პროფესორი ზ. მღებრიშვილი/

/ასოც.პროფესორი გ. ქეშელაშვილი/

კომისიის მდივანი /ასოც. პროფესორი ნ. კაკაშვილი/